



სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი №1

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	0231.1.12 სლავური ფილოლოგია Slavic philology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	0231.1.12 ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი სლავურ ფილოლოგიაში Bachelor of Arts in Slavic philology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	240 კრედიტი, რომელშიც შედის შემდეგი სასწავლო კომპონენტი: ძირითადი სპეციალობა (major) - 180 კრედიტი, აქედან 152 კრედიტი - სპეციალობის სავალდებულო კურსები, 28 კრედიტი - არჩევითი; სავალდებულო კურსებში შედის 5 კრედიტი სამეტყველო პრაქტიკა და 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომი; დამატებითი სპეციალობა (minor) - 60 კრედიტი/ან სპეციალობის არჩევითი ბლოკი-60 კრედიტი/ თავისუფალი კრედიტები - 60 კრედიტი. სწავლა მიმდინარეობს რვა სემესტრის განმავლობაში.
სწავლების ენა	სწავლების ენა - ქართულია, მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტი ჩატარდება არჩეული სპეციალიზაციის უცხო ენაზე.
პროგრამის ხელმძღვანელები	მარინე აროშიძე - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტი, პროფესორი, ტელ. 577 14 10 30, marina.aroshidze@bsu.edu.ge; ქეთევან სვანიძე - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტი, ასოცირებული პროფესორი, tel. 593 31 69 90, qetevan.svanidze@bsu.edu.ge.

<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა¹</p>	<p>„სლავური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის #111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 3 ივნისის № 06-01/39 დადგენილების მე-16 მუხლი („ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ) შესაბამისად. აბიტურიენტები საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღებიან საგამოცდო საგნებისათვის მინიჭებული კოეფიციენტების მიხედვით.</p> <p>ბაკალავრიატში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სწავლის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელთაც მოპოვებული აქვთ უმაღლესი განათლების მიღების უფლება იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად. მათი ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის <u>№224/ნ ბრძანების</u> შესაბამისად.</p> <p>„სლავური ფილოლოგიის“ პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის წესით (შესაბამისი ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე).</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა და მიზანი</p>	<p>თანამედროვე საქართველოს პოლიკულტურულ გლობალურ საზოგადოებაში ესაჭიროება მყარე ურთიერთკავშირები ევროპულ ქვეყნებთან, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს სლავური სამყარო წარმოადგენს. ბოლო პერიოდში ჩამოყალიბებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა ენობრივი ფოკუსის გადაადგილება, რამაც გამოიწვია დიდი ინტერესი და მოსწავლე ახალგაზრდობაში რუსული ენის გარდა სხვა სლავური ენების შესწავლის მოტივაცია გაზარდა (პოლონური, უკრაინული, ჩეხური, ბულგარული და სხვ.). საზოგადოებრივი მოთხოვნის</p>

¹ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად. დოქტორანტურაში მიღების წესი რეგულირდება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით.

	<p>გათვალისწინებით, ბსუ-ში მრავალი წლის განმავლობაში მოქმედი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „რუსული ფილოლოგია“ ნაცვლად შემუშავდა ახალი პროგრამა „სლავური ფილოლოგია“, რომელიც ისახავს მიზანს მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოში ადვილად ადაპტირებადი ლიბერალური ღირებულებებისა და პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება - სლავური ფილოლოგიის სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია დასაქმდეს შესაბამის პროფესიულ სფეროში ან სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე მიღებული ცოდნისა და უნარების საფუძველზე.</p> <p>ამის მისაღწევად დაისახა შემდეგი კონკრეტული მიზნები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) შესძინოს სტუდენტს საბაზისო ფილოლოგიური ცოდნა, გააცნოს მას შედარებითი და ტიპოლოგიური ფილოლოგიური კვლევების მეთოდოლოგიური მიდგომები, აზიაროს სლავური სამყაროს მნიშვნელობას თანამედროვე ინტეგრაციულ პროცესებში; 2) მისცეს ფართო ცოდნა სლავური ფილოლოგიის არჩეულ სფეროში (რუსული ენა და ლიტერატურა, პოლონური ენა და ლიტერატურა/უკრაინული ენა და ლიტერატურა); 3) განუვითაროს მას ფილოლოგიური ანალიზისა და კრიტიკული შეფასების უნარი, არგუმენტირებული მსჯელობის უნარი, მიღებული ცოდნის ადაპტირებისა და ცვალებად გარემოში გამოყენების უნარი; 4) განუვითაროს სტუდენტს წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი (პირველი სლავური ენის დონე B2, მეორე სლავური ენის დონე B1, ინგლისური ენა), მთარგმნელობითი საქმიანობის საბაზისო უნარ-ჩვევები, წარმატებული კულტურათაშორისი დიალოგის/პოლილოგის უნარ-ჩვევები; 5) აღზარდოს, უნივერსიტეტის მისიიდან და დამსაქმებლების ინტერესებიდან გამომდინარე, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი ფილოლოგი-სლავისტი, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, აკადემიური კეთილსინდისიერების, ჰუმანიზმის, დემოკრატიული ღირებულებისა და პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება.
სწავლის შედეგები	თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური,

	<p>კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოში ადვილად ადაპტირებადი ლიბერალური ღირებულებებისა და პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება - სლავური ფილოლოგიის სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია დასაქმდეს შესაბამის პროფესიულ სფეროში ან სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე სლავურ ფილოლოგიაში მიღებული ცოდნისა და უნარების საფუძველზე.</p> <p>საბაკალავრო პროგრამის „სლავური ფილოლოგია“ კურსდამთავრებულს:</p>
<p>1) ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>1. აქვს სლავური ფილოლოგიის ფართო ცოდნა, აყალიბებს და განმარტავს მნიშვნელოვან ფილოლოგიურ კონცეფციებთან დაკავშირებულ ცნებებს, აღწერს სლავური ფილოლოგიის ძირითად საკითხებს;</p> <p>2. მიმოიხილავს არჩეული სლავური ენობრივი სისტემის ყველა დონის თავისებურებებს, კულტურის ძირითად ასპექტებს, გათავისებული აქვს ჰუმანიტარული მეცნიერების მნიშვნელობა და ეფექტური კულტურათაშორისი კომუნიკაციის (ზეპირი და წერილობითი) მნიშვნელობას მსოფლიოს ინტეგრაციულ პროცესებში;</p>
<p>2) უნარები</p>	<p>3. იყენებს სპეციალიზაციის ენებს წერითი და ზეპირ კომუნიკაციის დროს (პირველი სლავური ენა - B2, მეორე სლავური ენა - B1 დონე) და ინგლისურ ენას პროფესიულ საქმიანობაში და საზოგადოებრივ სფეროში;</p> <p>4. იყენებს პროფესიულ საქმიანობაში დაკვირვებისა და ანალიზის უნარ-ჩვევებს, შეუძლია სლავური ფილოლოგიაში მიღებული ცოდნის დამოუკიდებლად გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში უახლესი მეთოდოლოგიური მიდგომებით, აქვს ადაპტირების უნარი ცვალებად პროფესიულ გარემოში;</p> <p>5. განსაზღვრავს და განასხვავებს სხვადასხვა კულტურას შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს, იყენებს კულტურათაშორისი კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხს.</p> <p>6. იყენებს სოციალიზაციისთვის აუცილებელ ზოგად უნარ-ჩვევებს (ტექსტთან მუშაობის უნარ-ჩვევები, ტექსტური ინფორმაციის აღქმის და მოკლედ გადმოცემის, მისი ინტერპრეტაციის უნარი; პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი ხედვის არგუმენტირებული მსჯელობის უნარი, არგუმენტირებული დასკვნების უნარი); იყენებს ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების მიზნით თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს.</p> <p>7. ახორციელებს კვლევითი ან გამოყენებითი ხასიათის ნაშრომს სლავურ ფილოლოგიაში</p>

	<p>წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, მონაწილეობს დისკუსიებში ქართული და სლავური ლინგვოკულტურული პრობლემების ირგვლივ, ახდენს პროფესიულ საზოგადოებასთან მშობლიურ და უცხოურ ენებზე არგუმენტირებულ კომუნიკაციას.</p>
<p>3) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<p>8. აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს. პატივს სცემს ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მაღალ იდეებს, ქართულ და სხვა კულტურულ მემკვიდრეობასა და ფასეულობებს.</p> <p>9. ზრუნავს თავის აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, ამჟღავნებს შეძენილი ცოდნის გაღრმავებისა/სრულყოფისთვის თვითშეფასებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარს, დროის მართვის უნარს;</p> <p>10. წარმატებით იყენებს პოლიკულტურული პიროვნების თვისებებს პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში, ავლენს ნაცნობ და უცნობ გარემოში დროისა და შრომის ორგანიზების უნარს, მაღალ მოქალაქეობრივი შეგნებას და ტოლერანტობას.</p>
<p>სწავლება-სწავლის მეთოდები</p>	<p>სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევა ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევაზე და ყალიბდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ფარგლებში შესასრულებელი იმ დავალების მოცულობისა და სირთულის შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგის მიღწევას სწავლების პროცესში. კურიკულუმით განსაზღვრული მასალის მიწოდება მრავალფეროვანი მეთოდების შერწყმით ხორციელდება.</p> <p>სწავლის შედეგების მიღწევის ძირითად მეთოდებად გამოიყენება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი (ლექცია); 2. ახსნა-განმარტებით მეთოდი - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ კონკრეტული მაგალითების დაწვრილებითი ანალიზით; 3. წიგნზე/ტექსტზე მუშაობის მეთოდი; 4. წერითი მუშაობის მეთოდი (ჩანაწერები, რეფერატები, ესე და სხვ.); 5. კითხვა პაუზებით, როდესაც სტუდენტები ტექსტის კითხვის პროცესში აქტიურად გამოხატავენ სიუჟეტის განვითარების ვარაუდებს და შემდეგ აკვირდებიან, რამდენად გამართლდა მათი ვარაუდი;

	<p>6. დემონსტრირების მეთოდი (აუდიო და ვიდეომასალების ჩვენება) - შედეგის მიღწევის თვალსაზრისით საკმაოდ ეფექტურია. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალა;</p> <p>7. პროფესიული უნარების პრაქტიკა (სიტუაციის მოდელირების მეთოდი, პრაქტიკა და სხვ.);</p> <p>8. დისკუსია/დებატები – ინტერაქტიური სწავლების ეფექტური მეთოდი, რომელიც ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას;</p> <p>9. წყვილებში მუშაობა - ეფექტურია უცხო ენის შესწავლის დროს, როდესაც სტუდენტები დიალოგებს გამართავენ ნასწავლი თემის ირგვლივ;</p> <p>10. ჯგუფური მუშაობა გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;</p> <p>11. თანამშრომლობითი სწავლება ითვალისწინებს ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულებას დაეხმაროს თავის თანაგუნდელებს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს;</p> <p>12. ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება;</p> <p>13. გონებრივი იერიში (Brain storming) გულისხმობს არჩეული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.</p> <p>14. სიტუაციის მოდელირება (როლური თამაში) – ზეპირი მეტყველების ჩამოყალიბების პროცესში სამეტყველო სიტუაციის მოდელირება ეფექტური მეთოდია, აგრეთვე სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები;</p>
--	---

	<p>15. ანალიზი და სინთეზი ტექსტთან მუშაობის აუცილებელი მეთოდია, სტუდენტები ეჩვევიან შესასწავლი თემის მნიშვნელოვან ნაწილებად დაყოფას და ცალკეული საკითხების დაჯგუფებით მთლიანობის შედგენას;</p> <p>16. ინდუქცია, დედუქცია - სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ. დედუქციური მეთოდი კი - პირიქით, ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ;</p> <p>17. კოგნიტური სქემები ეფექტური საშუალებაა მასალის სტრუქტურირების დროს (ტაბულები, ცხრილები, სქემები და სხვ.);</p> <p>18. ელექტრონული სწავლება (E-learning) – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:</p> <p>ა) დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით;</p> <p>ბ) ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების გარკვეული ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მეორე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში;</p> <p>გ) სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს.</p> <p>ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი მეთოდების გარდა კონკრეტული სასწავლო ამოცანის მისარწევად პროფესორ-მასწავლებლებს შეუძლიათ სხვა მეთოდების შერჩევა და გამოყენება (მაგალითად: ტევზის ჩონჩხი, პირამიდა, გამოტოვებული სიტყვების შევსება და სხვ.). აგრეთვე სწავლის შედეგების მისაღწევად აკადემიური პირები ატარებენ საკონსულტაციო შეხვედრებს სტუდენტებთან, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას.</p>
შეფასების სისტემა	სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ–ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“- ს შესაბამისად.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ყოველ სასწავლო დისციპლინაში ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით (მიმდინარე აქტიურობის შეფასება – 40 ქულა, შუალედური გამოცდები - 20 ქულა, დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა).

მიმდინარე შეფასება შეიძლება მოიცავდეს:

- ა) წერით გამოკითხვებს - წერითი დავალება, ტესტი, რეზიუმე, ქვიზი, საშინაო დავალება, ესე და სხვ.;
- ბ) ზეპირ გამოკითხვებს - დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, სემინარი, აქტივობა და სხვ.;
- გ) შეფასების სხვა სახის კომპონენტს - პროექტი, რეფერატი, პრეზენტაცია და სხვ.

ყოველ კონკრეტულ სასწავლო კურსში, მიმდინარე აქტიურობის ყველა კომპონენტში, სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ქულათა გარკვეული მაქსიმუმი. რომელიც მითითებულია შესაბამის სილაბუსში და განისაზღვრება პროფესორის მიერ ინდივიდუალურად შემდეგ მინიმალური მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) მიმდინარე შეფასების თითოეული წერითი გამოკითხვა (რომელიც შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა სირთულის, ფორმისა და შინაარსის თეორიულ საკითხებს, პრაქტიკულ დავალებებს, სიტუაციურ ამოცანებს, ღია, დახურულ ან/და მრავალპასუხიან ტესტებს და სხვ.) შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით;

ბ) მიმდინარე შეფასების თითოეული ზეპირი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 5 ქულით;

გ) მიმდინარე შეფასებებში, შუალედურ და დასკვნით გამოცდებში გამოყენებული ღია ტესტი ან მრავალპასუხიანი დახურული ტესტი შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 1 ქულით;

დ) მიმდინარე შეფასებებში, შუალედურ და დასკვნით გამოცდებში გამოყენებული

დახურული ერთპასუხიანი ტესტი შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 0.5

ქულით.

დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა:

შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - 20 ქულა.

სტუდენტის საბოლოო შეფასება:

- სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება, თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებებიდან:

ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი;

ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.

- უარყოფითი შეფასებებია:

ა) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს.

ბ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის

სილაბუსით, რომელიც შესაბამისობაშია სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან.

სტუდენტს დასკვნითი გამოცდისა და შუალედური შეფასებების გაპროტესტების უფლება აქვს შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს სამი დღისა, ხოლო თუ დასკვნითი გამოცდა ტარდება გამოცდების და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრში, სტუდენტს გამოცდის შედეგის გაპროტესტების უფლება აქვს გამოცდის დასრულებისთანავე.

სტუდენტს, რომლის საბოლოო შეფასება არის (FX) ან არ გამოცხადდა გამოცდაზე საპატიო მიზეზით (უწყისში დაფიქსირებულია „არგამოცხადება“ და სტუდენტი დეკანატში წარადგენს გამოცდაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელ დოკუმენტს) უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე იმავე სემესტრში. თუ სტუდენტმა დამატებითი გამოცდისა და შუალედური შეფასებების ჯამით მიიღო „ჩაიჭრა“, „ვერ ჩააბარა“ ან „არ გამოცხადდა“,

	<p>ითვლება ჩაჭრილად და ფასდება „(F) ჩაიჭრა“ შეფასებით.</p> <p>სასწავლო კურსში/მოდულში ”(F) ჩაიჭრა“ შეფასების მქონე სტუდენტი ვალდებულია მიმდინარე სწავლის საფასურის გადახდისათვის დადგენილ ვადებში დამატებით გაიაროს აკადემიური და ადმინისტრაციული (ფინანსური) რეგისტრაცია, დავალიანებული საგნის დარეგისტრირების მიზნით.</p> <p>სტუდენტს, უფლება არ აქვს დაარეგისტრიროს სასწავლო კურსი/მოდული, თუკი მისი შესწავლის წინაპირობაა კურსი/მოდული, რომელშიც ექნება უარყოფითი „(F) ჩაიჭრა“ შეფასება. დეტალური ინფორმაცია სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი შეფასების მეთოდები აღწერილია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსებში.</p> <p>საბაკალავრო ნაშრომის ფასდება 100 ქულიანი სისტემით (კრიტერიუმები: ლოგიკა, არგუმენტაცია, მსჯელობა-30 ქულა, ნაშრომის სტრუქტურა, დიზაინი - 20 ქულა, გადმოცემის უნარი - 15 ქულა, სიახლე - 10 ქულა, დისკუსიაში ჩართვა - 15 ქულა, საპრეზენტაციო მასალის გამოყენება -10 ქულა). მისი გაფორმების, წარდგენისა და დაცვის პროცედურები განსაზღვრულია „ბსუ-ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“ მიხედვით.</p>
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი სლავურ ფილოლოგიაში იქნება ზოგადი ჰუმანიტარული განათლების მქონე სპეციალისტი-ფილოლოგი, რომელსაც გააზრებული ექნება მომავალი პროფესიის არსი და სოციალური მნიშვნელობა, აღჭურვილი იქნება ძირითადი ფილოლოგიური დისციპლინების თეორიული საფუძვლების ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, გამოყენებითი ხასიათის მეცნიერული კვლევის ჩატარების გამოცდილებით, კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარით, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის პრინციპებით, მზად იქნება სწავლების მეორე საფეხურის აკადემიური პროგრამების გასაველად ან შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის.</p> <p>კურსდამთავრებულის შესაძლო მოღვაწეობის სფეროები:</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს განათლების სამინისტროს ნორმატიული აქტებისა და დადგენილებების შესაბამისად, დამატებითი მასწავლებლის კვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა), ბაკალავრს შეეძლება, საბაზო და საშუალო სკოლაში მასწავლებლად მუშაობა;

	<ul style="list-style-type: none"> · სხვა საგანმანათლებლო და კულტურულ დაწესებულებებში მუშაობა; · ენობრივ ცენტრებსა და საზაფხულო ბანაკებში საქართველოს და სხვა ქვეყნების მოქალაქეებთან მუშაობა; · მასობრივ საინფორმაციო სტრუქტურებში მოღვაწეობა; · ტურიზმის სფეროში მოღვაწეობა; · საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში; · კულტურულ და სოციალურ დაწესებულებებში; · კერძო და სამთავრობო სტრუქტურებში მთარგმნელობითი საქმიანობა.
<p>სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის</p>	<p>უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის წლიურ საფასურს ადგენს უნივერსიტეტი, ფაკულტეტი ან პროგრამა მთავრობასთან შეთანხმებით.</p>
<p>პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი</p>	<p>„სლავური ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს ძირითადად, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორ-მასწავლებლები, რომელთაც აქვთ პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება (იხ. თანდართული CV-ები).</p> <ol style="list-style-type: none"> 1) ვარდო ბერიძე - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოსოფიის დეპარტამენტი, ასოცირებული პროფესორი (ფილოსოფიის შესავალი); 2) ჯემალ კარალიძე - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი, პროფესორი (ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია); 3) ნანა ცეცხლაძე - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი, პროფესორი (აკადემიური წერის საფუძვლები); 4) ბორჩხაძე კესო - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტი, ასისტენტ პროფესორი (კლასიკური ენები - ლათინური ენა); 5) იბრაიმ დიდმანიძე - ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი, ასოცირებული პროფესორი

	<p>(საინფორმაციო ტექნოლოგიები);</p> <p>6) ლეილა დიასამიძე - ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი, ასისტენტ პროფესორი (ინგლისური ენა);</p> <p>7) თემურ ავალიანი - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი, ასოცირებული პროფესორი (ენათმეცნიერების შესავალი);</p> <p>8) ნანა ტრაპაიძე - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი, ასოცირებული პროფესორი (ლიტმცოდნეობის შესავალი);</p> <p>9) მარინა გიორგაძე - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტი, პროფესორი (ანტიკური ლიტერატურის ისტორია);</p> <p>10) თამილა დავითაძე - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტი, ასოცირებული პროფესორი (დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის ისტორია);</p> <p>11) მარინე არშიძე - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტი, პროფესორი (სლავური ფილოლოგიის შესავალი, სლავური ენების შედარებითი გრამატიკა, თანამედროვე რუსული ენის მორფოლოგია, ბიზნეს რუსული, ენა-კულტურა-საზოგადოება, თარგმანის გრამატიკული პრობლემები);</p> <p>12) ქეთევან სვანიძე - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტი, ასოცირებული პროფესორი (რუსული ენის პრაქტიკული კურსი, წერითი მეტყველება, თან.რუს.ენის მორფემიკა, სიტყვათწარმოება, თანამედროვე სლავური ენების აქტუალური პრობლემები, წარმატებული კომუნიკაციის პირობები, თარგმანის ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემები);</p> <p>13) ასმათ არძენაძე - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტი, ასოცირებული პროფესორი (რუსული ენის პრაქტიკული კურსი, თანამედროვე რუსული ენის ლექსიკა, ფონეტიკა,</p>
--	--

თარგმანმცოდნეობის საფუძვლები და პრაქტიკა, კულტურათა დიალოგი, თარგმანის ლექსიკური პრობლემები);

- 14) მერაბ ახვლედიანი - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტი, ასოცირებული პროფესორი (რუსული ენის პრაქტიკული კურსი, თანამედროვე რუსული ენის სინტაქსი, თანამედროვე რუსული ენის სტილისტიკა, ქვეყანათმცოდნეობა (რუსეთი, პოლონეთი, უკრაინა));
- 15) ნანა ქაჯაია - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტი, ასოცირებული პროფესორი (სლავური ლიტერატურა, რუსული ფოლკლორი, ძველი და მე-18 ს.რუსული ლიტერატურა, მე-19 ს. რუსული ლიტერატურა, მე-20 და 21 სს. რუსული ლიტერატურა, თანამედროვე სლავური ლიტერატურის აქტუალური პრობლემები);
- 16) დალი დობორჯგინიძე - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტი, ასისტენტ პროფესორი (რუსული ენის პრაქტიკული კურსი, სლავური კულტურის საფუძვლები, ქართულ-პოლონური ლიტერატ-ლი ურთიერთობები, თარგმანი და ლიტერატურული ურთიერთობები);
- 17) სოფიკო თავართქილაძე - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტი, მოწვეული უფროსი მასწავლებელი, ფილოლოგიის დოქტორი (პოლონური ენის პრაქტიკული კურსი, სამეტყველო პრაქტიკა, რუსული ენის პრაქტიკული კურსი);
- 18) ანასტასია დუმბაძე - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტი, მოწვეული მასწავლებელი, ფილოლოგიის დოქტორი (უკრაინული ენის პრაქტიკული კურსი).

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტს აქვს სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები. უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამებს უზრუნველყოფს, აგრეთვე, სპორტული ბაზებით, საკონფერენციო დარბაზებით, პრაქტიკის ბაზებით, საუნივერსიტეტო

ბიბლიოთეკით, ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსებით.

ბსუ-ს ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს „სლავური ფილოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საწავლო აუდიტორიები განლაგებულია უნივერსიტეტის პირველ კორპუსში (ნინოშვილის ქ. №35), უზრუნველყოფილია ინვენტარით, ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით, სველი წერტილებით, ცენტრალიზებული გათბობის სისტემით, უნივერსიტეტს გააჩნია სამედიცინო პუნქტი.

ბსუ დარეგისტრირებულია პროექტში “ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის - EIFL“ კონსორციუმის წევრად, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები: EBSCOHost (<http://search.epnet.com>), (Cambridge University Journals (<http://journals.cambridge.org>), Oxford University Journals (<http://www.oxfordjournals.org>), Oxford Reference Online (<http://www.oxfordreference.com>),

აგრეთვე უნივერსიტეტის პირველ კორპუსში პირველ სართლზე 22-აუდიტორიაში მოწყობილია სლავური ფილოლოგიის კაბინეტი, რომელშიც განლაგებულია მდიდარი ბიბლიოთეკა სხვადასხვა სლავურ ენაზე: სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა, მხატვრული ლიტერატურა, ენციკლოპედიები და ლექსიკონები (რუსულ ენაზე). განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს პოლონური ენისა და კულტურის მიმართლება, რომელიც პოლონეთის საელჩოს დახმარებით აღჭურვილია უახლესი ლიტერატურით და დამხმარე სახელმძღვანელოებით. 2020-22 წწ. პანდემიის გამო და ამჟამინდელი საომარი სიტუაციისაგან გამომდინარე, სამწუხაროდ, ვერ მივიღეთ უკრაინულ ენაზე დაკვეთილი სასწავლო ლიტერატურა, ამიტომ, „უკრაინული ბიბლიოთეკა“ მეტწილად წარმოდგენილია ელექტრონული წიგნებით (იხ. სლავისტიკის კაბინეტის ელექტრონული წიგნების კატალოგი).

სტუდენტების განკარგულებაშია ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, სათანადო მულტიმედიური საშუალებებით აღჭურვილი ამერიკის შემსწავლელი ცენტრი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინოლოგიის და ნეოგრეცისტიკის, რომანისტიკის, გერმანისტიკისა და თურქოლოგიის კაბინეტები, სასწავლო პროცესის წარმართვისათვის ევროპეისტიკის დეპარტამენტს აქვს საჭირო კომპიუტერული ტექნიკა და დამხმარე მეთოდური საშუალებები. გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტები

	გაივლიან სამეტყველო პრაქტიკას აჭარის მუზეუმებში და ტურისტულ ცენტრებში.
<p>პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა</p>	<p>ინფორმაცია პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ თან ერთვის. იხ. დანართი:</p>
<p>დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)</p>	<p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სლავური ფილოლოგია“ აქტუალურია თანამედროვე პოლიკულტურულ გლობალურ საზოგადოებაში და ორიენტირებულია ეროვნულ პრიორიტეტებზე და უნივერსიტეტის მისიაზე, ხელს უწყობს ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციას სლავურ სამყაროში. ამას ხელს უწყობს მიმართულების პროფესორ-მასწავლებლების მრავალფეროვანი საერთაშორისო თანამშრომლობა, კერძოდ: სამეცნიერო პროექტების მე-7 ჩარჩო პროგრამისა და ჰორიზონტ-2020 (იხ. პროგრამის ხელმძღვანელის მ.აროშიძის CV) ფარგლებში ჩამოყალიბდა აქტიური თანამშრომლობა შემდეგ ევროპულ უნივერსიტეტებთან: ბულგარეთის ნეოფიტ რილსკის სახელობის სამხრეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი (ბლაგოევგრადი), გრაცის უნივერსიტეტი, უკრაინის მეჩნიკოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ოდესა), სუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პიატიგორსკის ლინგვისტურ უნივერსიტეტთან, მაკედონიის ეროვნული ისტორიის ინსტიტუტთან და სხვ. აგრეთვე ერაზმუს+ პროგრამების ფარგლებში მჭიდრო თანამშრომლობა გვაკავშირებს ბიდგომის ეკონომიკის უნივერსიტეტის ლინგვისტიკის ფაკულტეტთან (პოლონეთი), რუჟომბეროვის კათოლიკური უნივერსიტეტის (სლოვაკეთი) და სხვ. პროგრამის წარმატებით განხორციელებაში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას, აქედან განსაკუთრებით გვინდა გაუსვათ ხაზი მჭიდრო თანამშრომლობას თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.</p>

